26/16.11.11

ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „16“ ნოემბერი 2011 წ.

ერთის მხრივ სსიპ ბორჯომის №6 საჯარო სკოლა, დირექტორის ქეთევან ხაჩიძის სახით, ბორჯომი, რუსთაველის ქ. №55 , (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ ---

წარმოდგენილი დირექტორი ---სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტის დასახელება

(CPV ---) მომსახურეობა

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის ღირებულება შეადგენს ---90--- ---ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1 მომწოდებელი ვალდებულია გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 30ნოემბრამდე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება მოხდება პერიოდულად წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.2 შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ადგილი

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის და ექვემდებარებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

7. ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

“შემსყიდველი”--- ”მიმწოდებელი”---

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე ააგებენ პასუხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების (საფოსტო გზავნილებების გაგზავნის) შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება გზავნილის ღირებულების 0.1% ოდენობის პირგასამტეხლო, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1 მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

"შემსყიდველი"---------- "მიმწოდებელი"----------

--

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის დამიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან 2011 წლის 30 ნოებრამდე.

ყოველივე ზემოხსენებულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია ოთხ პირად, სამი შემსყიდველს და ერთი მიმწოდებელს.

"შემსყიდველი"

ბორჯომის მუნიციპალიტეტი, ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1. ს.ს "თიბისი ბანკი"-ს ს/ჯ ფილიალი ა/ა .№GE25TB0105833030100001, ბ/კოდი TBCBGE22 საიდენტიფიკაციო კოდი 226161961;

-------------------- / -------------------- /

ბ. ა.

"მიმწოდებელი" ---

-------------------- / -------------------- /

ბ. ა.

"შემსყიდველი"-------------------

"მიმწოდებელი"------------------